

კითხვარი თბილისის მერობის კანდიდატებისთვის

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეული არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვას, რომელზეც ჯერჯერობით არ გაქვთ გამოკვეთილი პოზიცია ან, თქვენივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი ცალკე პოლიტიკის გატარებას არ საჭიროებს.

ზოგადი ხედვა / წინასაარჩევნო პროგრამის მოკლე შეჯამება

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითად პრიორიტეტებთან დაკავშირებით?

ქალაქის განვითარების გეგმის შემდგომი სრულყოფა და ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივ ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე და მათი ფართო ჩართულობით. ამისათვის უნდა შეიქმნას მყარი ინსტიტუციური ჩარჩო: შემდგომში - თვითნებური (თუნდაც არაკორუფციული), არაპროფესიონალური გადაწყვეტილებების გამოსარიცხად.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (არსებობის შემთხვევაში).

თბილისის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენას, პირველ რიგში, ქვეყნის მასშტაბით შეცვლილი პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო მოახდენს. გარდა ამისა, თბილისის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები იქნება:

1. კორუფციისგან თავისუფალი თბილისის მერია;
2. რკინიგზის გადატანა და ამით ქალაქის ცენტრში საინვესტიციო და რეკრეაციული ზონის გამოთავისუფლება. ეს პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე ასეულ მილიონდოლარიან ინვესტიციას, რის შედეგადაც ქალაქში ახალი საავტომობილო არტერია გაჩნდება. ასევე, მნიშვნელოვნად მოგვარდება გადაადგილების პრობლემა;
3. ახალი ხიდების, საბაგიროებისა და ზოგადად, სატრანსპორტო სისტემის განვითარება;
4. პარკინგის პრობლემის გადაჭრა როგორც სამშენებლო რეგულაციების დაცვით, ისე მრავალსართულიანი პარკინგის მშენებლობების წახალისებით;
5. ისტორიული უბნების რეაბილიტაცია და ტურისტული პოტენციალის გაზრდა;
6. რეკრეაციული სივრცეების მოწესრიგება და ურთიერთდაკავშირება;
7. თბილისის ზღვის განვითარება და დანარჩენ ქალაქთან სრულად ინტეგრირება, რაც უზარმაზარი ტურისტული, ინდუსტრიული და სამშენებლო პოტენციალის ათვისების საშუალებას იძლევა;
8. თბილისის გადაქცევა განათლების ექსპორტიორ ქალაქად;

9. მასშტაბური კერძო ინვესტიციების მოსაზიდად თვითმმართველობის მიერ ინვესტორთათვის შესაბამისი საკანონმდებლო, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტების ხელშეწყობა.

3. თქვენი აზრით, რა მთავარი პრობლემები უშლის ხელს დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას?

თბილისის მერიის სისტემაში არსებული კორუფცია:

- თბილისის მერიის სისტემის კორუფციისგან გათავისუფლება საშუალებას მოგვცემს, თბილისელებმა რეალური სარგებელი იგრძნონ ქალაქის მილიარდიანი ბიუჯეტიდან. ამასთან, სათანადოდ დაფასდეს ის ათასობით ადამიანი, რომლებიც პატიოსნად და პროფესიონალურად შრომობენ თბილისის მერიაში.
- დღეს მერიაში 30 ათასამდე ადამიანი მუშაობს. მათი რიცხვი ბოლო წლებში 7-8 ათასით მაინც გაიზარდა. სწორედ ეს ნეპოტიზტურ-კორუფციული სისტემა არ იძლევა საშუალებას, ერთი მხრივ, თბილისელთა უმწვავესი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პრობლემები მოგვარდეს, მეორე მხრივ, ბაღის პედაგოგების, დასუფთავებისა და ტრანსპორტის თანამშრომლების, სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და სხვა პერსონალის შრომა დაფასდეს და მათი ანაზღაურება ოდნავ მაინც შეესაბამებოდეს გაუსაძლის სოციალურ ყოფას, ინფლაციით კიდევ უფრო დამძიმებულ სიღარიბეს.
- თბილისის თვითმმართველობიდან კორუფციის ამოძირკვა პოლიტიკური ნებაა, ამ საკითხის მოგვარება - ქალაქის განვითარების წინაპირობა.

4. რა არის თბილისის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

საქართველოს და თბილისის უზარმაზარი პოტენციალი აქვს, 800-1000 კილომეტრის რადიუსში შექმნას საუკეთესო საცხოვრებელი, ტურისტული და საქმიანი გარემო; გახდეს საგანმანათლებლო, კულტურული, სამეცნიერო და ფინანსური ცენტრი; იყოს მოწინავე - დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანი ბიზნესგარემოს არსებობის თვალსაზრისით. თბილისსა და საქართველოს შეუძლია რეგიონის ინფრასტრუქტურულ ჰაზად გადაიქცეს. ყველა ამ მიმართულების ინკლუზიური განვითარება სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას შეუწყობს ხელს.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

ჩვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები მიმართული იქნება დასაქმების გაზრდის, სოციალური პრობლემების უფრო ეფექტურად მოგვარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით უფრო ეფექტიანად ხარჯვისკენ. მნიშვნელოვნად დაიზოგება ჩინოვნიკების კომფორტისთვის გამიზნული თანხები და ეს თანხა სამუშაო ადგილების შექმნასა და სოციალური პრობლემების მოგვარებას მოხმარდება. გადაიდგმება რეალური ნაბიჯები ქალაქის

გამწვანების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თითოეული მოქალაქისთვის ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.

უმნიშვნელოვანესია ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლებიც თბილისს უზარმაზარი პოტენციალის ათვისების საშუალებას მისცემს. ბიუროკრატიული ხარჯების ნაცვლად, თანხის დიდი ნაწილი სოციალური მიმართულებით უნდა გადანაწილდეს.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ინვესტიციების მოსაზიდად?

მასშტაბური კერძო ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია თვითმმართველობის მიერ ინვესტორთათვის შესაბამისი საკანონმდებლო, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის ხელშეწყობა.

ურბანული განვითარება / ქალაქგეგმარება / ბინათმშენებლობა

7. როგორ ფიქრობთ მოქალაქეთა საბინადრო პირობების გაუმჯობესებას?

ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები, საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება - უპირველესი ამოცანაა ქალაქის განვითარებისთვის.

8. რა ღონისძიებებს გეგმავთ დედაქალაქში ქუჩების უკეთ დასუფთავებისთვის?

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება და რეალობასთან შესაბამისობა. აუცილებელია ტექნიკისა და თანამშრომელთა პირადი აღჭურვილობის მუდმივი განახლება; ნაგავსაყრელ პოლიგონზე არსებული პრობლემების სასწრაფოდ გამოსწორება. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სამშენებლო ნარჩენების გატანა-უტილიზაცია, რაც დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებს.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების მაქსიმალური უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის?

დღეის მდგომარეობით, ქალაქის ცენტრალურ არეალში მთავარი გზების ხშირი ქსელის გამო, ქვეითთა გადაადგილება, განსაკუთრებით, მდინარის ნაპირებზე, არაპრაქტიკული და საშიშია. საფეხმავლო სივრცეების სტრატეგიულად სწორი დაგეგმარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზეც. როგორც კვლევები გვიჩვენებს, საფეხმავლო ქალაქები ეკონომიკურად უფრო ეფექტურია. ურბანული ადგილები, ადგილობრივი ბიზნესი - ქვეითთა დახმარებით მნიშვნელოვნად ზრდის შემოსავალს. ამიტომ, ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფეხმავლო სივრცეების მოწესრიგებას, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს რეაბილიტირებულ სივრცეებში ახალი მცირე ბიზნესების შექმნა (პატარა კაფეები, საბავშვო ატრაქციონები, სავაჭრო დახლები,

მოწესრიგებული გარევაჭრობის ადგილები), რაც ქალაქში დამატებით ათასობით სამუშაო ადგილს მოიტანს.

აუცილებელია ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილების გამარტივება, რათა, ტროტუარის არარსებობის გამო, არ მოუწიოთ გზის ნაწილზე გადმოსვლა, რაც ასევე ხშირია და მოძრაობის შეფერხების გარდა, ადამიანების სიცოცხლესაც ემუქრება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ტროტუარების სრულად გათავისუფლება პარკინგისგან.

10. როგორია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესების თქვენეული გეგმა?

თბილისის საცობების შეკავებისა და მისი პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუდმივი განვითარება-მოწესრიგება. დღეის მდგომარეობით, თბილისში მთავარი პრობლემა საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა და მისი არაპოპულარობაა. ქალაქს სულ მცირე, 900 ავტობუსი სჭირდება. არსებული სამარშრუტო ქსელის რეალურ საჭიროებებზე მორგებასთან ერთად, ეს საშუალებას მოგვცემს, დავამატოთ ახალი მარშრუტები, გავზარდოთ მოქმედ მარშრუტებზე ავტობუსების რაოდენობა და ამით შევამციროთ ლოდინის დრო მგზავრებისთვის. შესაბამისად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობა გავხადოთ მიმზიდველი.

ელექტროტრანსპორტის განვითარება:

- **ტრამვაი** - დღევანდელი მონაცემებით, ჰაერის 90% გამონახობლივით ბინძურდება, რაშიც ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე ავტომობილია. ტრამვაი მაღალი გამტარუნარიანი, ეკოლოგიური, ეკონომიური და უსაფრთხო ტრანსპორტია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაც მოხერხებულია. რაც მთავარია, მოიხმარს ელექტროენერგიას და არ აბინძურებს ჰაერს; მოძრაობს მისთვის განკუთვნილ ზოლში და შესაბამისად, დანიშნულების ადგილამდე დანარჩენ ტრანსპორტზე უფრო სწრაფად მიდის. ტრამვაის ერთ შემადგენლობას ერთდროულად რამდენიმე ავტობუსის მგზავრის გადაყვანა შეუძლია, ამიტომ სწრაფად უნდა მოხდეს დეტალური კვლევა, სად შეიძლება ტრამვაის ხაზის მოწყობა და ბიუჯეტში საამისო თანხებიც განისაზღვროს.
- **საბაგიროები** - მნიშვნელოვანია საბაგიროს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა, თანამედროვე და კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, რომელიც მოემსახურება მგზავრთა უკეთეს, სწრაფ და კომფორტულ გადაადგილებას როგორც ტურისტული, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით. საწყის ეტაპზე სასურველია შემდეგი ხაზების მშენებლობა: უნივერსიტეტი - ბაგები - წყნეთი; დიდუბე - ვაშლიჯვარი - ლისი; თბილისის ზღვა-ლოტკინი-სადგურის მოედანი; ზღვის უბანი-ახმეტელის თეატრი; ვაზისუბანი - მეტროსადგური “სამგორი”; ვაკის პარკი, კუს ტბის დაკავშირება ახალ სადგურ - მთაწმინდასთან და მთაწმინდის დაკავშირება არსებულთან - ნარიყალა, რიყე.
- **თბილისის მეტრო** - გარდა იმისა, რომ მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მეტროს არსებული ინფრასტრუქტურის კაპიტალური შეკეთება-განახლება, მნიშვნელოვანია,

დაიწყოს მუშაობა მეტროს ახალი ხაზების დასაპროექტებლად. საჭიროა მატარებლების შემადგენლობის გაზრდაც.

11. რა ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ დედაქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა - საგზაო ქსელის მდგრადი განვითარება უმნიშვნელოვანესი კომპონენტია გზებზე შეუფერხებლად გადაადგილებისათვის და 3 ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. ახალი გზების, გვირაბების, ხიდების, ესტაკადების მშენებლობას;
2. არსებული გზების კაპიტალურ შეკეთებას;
3. არსებული გზების ორმოულ შეკეთებას.

ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საცობებისგან განსატვირთად საჭიროა, სულ მცირე, შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

- თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორდონიანი ესტაკადის მოწყობა;
- ვერის ხეობიდან გამომავალი ახალი მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება გმირთა მოედანზე არსებულ, ლაგუნა ვერესკენ მიმავალ გვირაბთან;
- მარშალ გელოვანის მოედანზე (ვეფხისა და მოყმის ძეგლთან) საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (გვირაბით);
- გალაკტიონის ხიდის მარცხენა მხარეს (უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ასასვლელი) პანდუსის მოწყობა; შეშელიძის და გობრონიძის ქუჩის კვეთასთან მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (მუხიანიდან მოძრავი მანქანებისთვის);
- მდინარე მტკვარზე მარნეულის და რუსთავის გზატკეცილის ქვემო სამგორთან დამაკავშირებელი ხიდის აშენება;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქში განივი კავშირების განვითარება - მტკვარზე ახალი ხიდების აშენება და რკინიგზის გადატანა; ხიდის მშენებლობა ვეფხისა და მოყმის ძეგლთან.

რკინიგზის გადატანა - რკინიგზის მიმდებარე ქუჩებზე სატრანსპორტო ქსელი განუვითარებელია, საავტომობილო კავშირები და მისადგომობა - გართულებული; უახლოესი სატრანსპორტო კავშირები მხოლოდ 4 კმ-შია. შესაბამისად, თბილისის ცენტრალური ნაწილი ქალაქისთვის გამოუყენებელი და განუვითარებელია, სატრანსპორტო თვალსაზრისით - რთულად მისადგომი. რკინიგზის გადატანით მიმდებარე ქუჩები სატრანსპორტო ნაკადებისგან სრულად განიტვირთება; მოეწყობა თბილისის აღმოსავლეთის (კახეთის) და დასავლეთის (მცხეთის) მიმართულებების შემაერთებელი უმოკლესი საავტომობილო მაგისტრალი. რკინიგზის გადატანის შემთხვევაში, ქალაქის ცენტრალურ უბნებს საათში 2000 მანქანა მოაკლდება. მაგისტრალის განივად მოეწყობა ახალი საავტომობილო კავშირები, მთლიანად განახლდება და განვითარდება რკინიგზის მიმდებარე სატრანსპორტო ქსელი, მოეწყობა რამდენიმე

მნიშვნელოვანი ახალი კვანძი. ისნის ხიდის მიმდებარე გზა ორად გაიყოფა: ერთი არტერია გაჰყვება არსებულ სარკინიგზო მაგისტრალს და შეუერთდება ახალ გამზირს.

12. რა მექანიზმებით ფიქრობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების ხელშეწყობას?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სრულყოფილი ინფრასტრუქტურა შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ქალაქში ქვეითად გადაადგილებისთვის: პანდუსებით აღჭურვოს ტროტუარები, მოეწყოს სპეციალური ბილიკები და მანიშნებლები უსინათლოებისთვის, არსებობდეს ხმოვანი სიგნალით აღჭურვილი შუქნიშნები. ყველა აუცილებელი პირობა უნდა გვქონდეს შშმ პირთა თავისუფლად და უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის.

13. როგორ აპირებთ უპატრონო ცხოველების საკითხის მოგვარებას?

ამ პრობლემის მოსაგვარებლად არსებობს ორი ძირითადი მიმართულება: თავშესაფრების მოწყობა და სტერილიზაცია.

კულტურა და განათლება

14. როგორია თქვენი ხედვა თბილისის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით?

კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი ქალაქის ისტორია, საგანძური და ყველაზე ღირებული, შეუფასებელი აქტივია. უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, გამაგრება და სრული რეაბილიტაცია.

კერძო ინიციატივის შემთხვევაში, წესების სრული დაცვით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა/შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ინვესტორს გაუმარტივდეს დოკუმენტაციის მოპოვების პროცედურები და მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, ქალაქის ინტერესების გათვალისწინებით.

15. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ თბილისში განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად?

ჩვენი მიზანია, თბილისი გახდეს განათლების ექსპორტიორი ქალაქი.

უსაფრთხოება და კრიმინალი

16. რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

კრიმინალი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს და ქვეყნის ტურისტულ თუ საინვესტიციო გარემოზეც უარყოფითად აისახება. 2 ოქტომბრის

“რეფერენდუმისა” და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლების შეცვლისთანავე, სწრაფად მოხდება სამართალდამცავი სისტემის რეფორმირება, დეპოლიტიზება და მთელი რესურსი კრიმინალთან ბრძოლას მოხმარდება.

ქალაქის მასშტაბით და მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია საჯარო სივრცეების მოწესრიგება, განათება, გარე კამერებით აღჭურვა.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

17. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა დედაქალაქში? რა სოციალური პროგრამები განხორციელდება?

თბილისისთვის, მთელი ქვეყნის მსგავსად, სიღარიბე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად (იხ. ჩვენი ეკონომიკური ხედვა) მნიშვნელოვანია, სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხები სწორად, მიზანმიმართულად, ყოველგვარი დისკრიმინაციის (განსაკუთრებით პოლიტიკური ნიშნით) გარეშე იხარჯებოდეს. არსებული პროგრამებიდან თვისობრივ განახლებას საჭიროებს უფასო სასაბინოების პროექტი, რომლითაც 40 000-მდე მოქალაქე სარგებლობს და რომლის ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მუნიციპალურ დონეზე (რომელთან ურთიერთობაც მოქალაქეს მაქსიმალურად უნდა გაუმარტივდეს) უნდა მოხდეს ბევრი სახელმწიფო პროგრამის ინტეგრაცია. მნიშვნელოვანია, მოქალაქეს “ერთი ფანჯრის” პრინციპით შეეძლოს მისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარების პაკეტების მიღება, რაც უფრო ეფექტურს გახდის ამ პროგრამების ადმინისტრირებას და ბენეფიციართათვის მათ ხელმისაწვდომობას გაზრდის.

18. რა გზებს მიმართავთ თბილისში ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გაზრდისთვის?

განვითარებული ეკონომიკის ფონზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვის ხარჯები უნდა გაიზარდოს. დაფინანსება, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, ყველას უნდა შეეხოს.

ჯანდაცვაში მდგომარეობის გაუმჯობესება, დიდწილად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შედეგებზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით მწვავედ დგას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრობლემა, რომლის ეფექტურობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ორგანოებს - როგორც პოპულარიზაციის, ასევე, ვაქცინაციის პროცესის გამარტივებისა და ხელმისაწვდომობისთვის.

გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხები მიზნობრივ ჯგუფებზე უფრო ეფექტურად უნდა იქნეს მიმართული.

19. რა ღონისძიებებს გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

მიუსაფარ მოქალაქეებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა იზრუნოს მათი სამოქალაქო რეგისტრაციის პრობლემების მოგვარებასა და ყველა სახელმწიფო თუ მუნიციპალურ სოციალურ პროგრამაში ჩასართავად.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

20. როგორია თქვენი გეგმები და ხედვა თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით?

არსებული რეკრეაციული სივრცის არცერთი კვადრატული მეტრი არ უნდა შეეწიროს მშენებლობას. აუცილებელია არსებული რეკრეაციული ზონების მოწესრიგება და ერთმანეთთან დაკავშირება. შესაბამისი სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, საჭიროა, განვიხილოთ არსენალის მთაზე დიდი ცენტრალური პარკის გაშენების იდეა.

21. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

არსებული რეკრეაციული სივრცის არცერთი კვადრატული მეტრი არ უნდა შეეწიროს მშენებლობას. აუცილებელია არსებული რეკრეაციული ზონების მოწესრიგება და ერთმანეთთან დაკავშირება. შესაბამისი სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, საჭიროა, განვიხილოთ არსენალის მთაზე დიდი ცენტრალური პარკის გაშენების იდეა.

22. რის გაკეთებას აპირებთ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

აუცილებელია სათამაშო მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია, ახლის აშენება. მერია აქტიურად უნდა ჩაერთოს როგორც სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაში, ისე ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაში.

კულტურული მემკვიდრეობა

23. რა ღონისძიებებს მიმართავთ თბილისის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

ბიუჯეტის სახსრებით სრულად უნდა განახლდეს ქალაქის ისტორიული, ტურისტული პოტენციალის მქონე უბნები. მნიშვნელოვანია, რეაბილიტაციის პროცესში შენარჩუნდეს მათი (შენობა-ნაგებობების) ავთენტურობა, გადარჩეს ზოგ არეალში არსებული უნიკალური ლანდშაფტი და გათვალისწინებული იყოს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები.

24. რას ფიქრობთ ხელოვნების მუზეუმის შესაძლო დანგრევასთან დაკავშირებით?

დანგრევის გაფიქრებაც კი დანაშაულია! უნდა მოხდეს ამ ისტორიული შენობის სრული და მასშტაბური რეკონსტრუქცია, ექსპონატების დროებითი განთავსების გეგმისა და მისი რეალიზების პროცესის სრული გამჭვირვალობა ექსპერტთა ფართო ჩართულობით.

სხვა საკითხები

25. 2021 წლის ივლისში განხორციელდა მასშტაბური ძალადობა ლგბტქი+ თემისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. როგორია ამ საკითხზე თქვენი, როგორც მერობის კანდიდატის პოზიცია?

ძალადობა მიუღებელია. მოძალადეები უნდა დაისჯონ. სახელმწიფომ უნდა აღსრულოს კანონი. არ შეიძლება ადამიანების დისკრიმინაცია რაიმე განმასხვავებელი ნიშნით.

26. მერობის შემთხვევაში, თქვენი კომპეტენციისა და პოლიტიკური როლის გათვალისწინებით, როგორ შეუწყობთ ხელს აზრის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების დაცვასა და თავისუფლებას?

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნდამენტია, ამიტომ ის უნდა იყოს გარანტირებული.

27. რა ღონისძიებებს გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების რეგულირებისთვის?

მნიშვნელოვანია, საბიუჯეტო სახსრებით გაგრძელდეს მწვავედ ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება, ქალაქის ისტორიული, ტურისტული პოტენციალის მქონე უბნების რეაბილიტაცია. თუმცა, ამავდროულად, საბიუჯეტო დაფინანსების ეფექტურად გამოყენებით უნდა შექმნათ ამ პროცესში სამშენებლო ბიზნესისა და ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობის სტიმულირების სპეციალური პროგრამა, რომელიც, კერძო ინვესტორებთან ერთად, ათასობით ავარიული, უკვე დანგრეული და დაუმთავრებელი მშენებლობის პრობლემას გადაჭრის.

შესაბამისად, ჩვენი მიდგომა ასეთია:

1. რკინიგზა უნდა გადავიდეს არსებული ტერიტორიიდან. შედეგად, საცხოვრებელი გარემო გახდება უფრო უსაფრთხო და ჯანსაღი, უძრავი ქონება - ინვესტორთათვის მიმზიდველი. გაუქმდება რკინიგზის სიახლოვეს მოქმედი შეზღუდვა და შესაძლებელი გახდება მიმდებარე უბნების სამშენებლო განვითარება. შესაბამისად, ავარიული სახლების პრობლემაც მოგვარდება.
2. თბილისში ავარიულ ნაგებობათა ადგილას ახალი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად, ხელისუფლებას შეუძლია მენაშენების დახმარებისა და წახალისებისთვის შექმნას და აამოქმედოს მიზნობრივი პროგრამები, როგორც იყო “ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე”, რომელთა ფარგლებშიც დასრულდება არაერთი დაუმთავრებელი მშენებლობა და მოგვარდება ავარიულ სახლებში მცხოვრებთა საბინაო პრობლემები.
3. ავარიულ უბნებში მერიამ უნდა შექმნას განაშენიანების რეგულირების გეგმები, რომელთა სათითაოდ განხილვა შესაძლებელია, როგორც ავარიული სახლების ადგილას ახალი მშენებლობისათვის საინტერესო საინვესტიციო პროექტი. მეტიც, თითოეული ასეთი პროექტის დამუშავებისას მერიამ უნდა დაადგინოს კონკრეტული განაშენიანების მოცულობა და განსაზღვროს ყველა ის პარამეტრი, რომელიც, ერთი მხრივ, მიმზიდველს გახდის ამ პროექტს საინვესტიციო თვალსაზრისით და მეორე მხრივ, შეინარჩუნებს ქალაქის ურბანულ ინტერესს.

4. საბიუჯეტო სახსრებით გაგრძელდეს მწვავედ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.
5. ქალაქის იმ უბნებში, სადაც ძირითადად, ინდივიდუალური, უმეტესად - ავარიული სახლებია და რთულ საცხოვრებელ პირობებს ქმნის, კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებით შესაძლებელია როგორც კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე სახლების რეკონსტრუქცია, ასევე, ახალი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა - მხოლოდ მერიის წერილობითი დასტურით.

28. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით?

რკინიგზის გადატანა - რკინიგზის მიმდებარე ქუჩებზე სატრანსპორტო ქსელი განუვითარებელია, საავტომობილო კავშირები და მისადგომობა - გართულებული, უახლოესი სატრანსპორტო კავშირები მხოლოდ 4 კმ-შია. შესაბამისად, თბილისის ცენტრალური ნაწილი ქალაქისთვის გამოუყენებელი და განუვითარებელია, ხოლო სატრანსპორტო თვალსაზრისით, რთულად მისადგომი. რკინიგზის გადატანის შედეგად სატრანსპორტო ნაკადისგან სრულად განიტვირთება მიმდებარე ქუჩები; მოეწყობა თბილისის აღმოსავლეთის (კახეთის) და დასავლეთის (მცხეთის) შემაერთებელი უმოკლესი საავტომობილო მაგისტრალი. რკინიგზის გადატანის შემთხვევაში, ქალაქის ცენტრალურ უბნებს საათში 2000 მანქანა მოაკლდება. მაგისტრალის განივად მოეწყობა ახალი საავტომობილო კავშირები, მთლიანად განახლდება და განვითარდება რკინიგზის მიმდებარე სატრანსპორტო ქსელი. მოეწყობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი კვანძი. ისნის ხიდის მიმდებარე გზა ორად გაიყოფა, ერთი არტერია გაჰყვება არსებულ სარკინიგზო მაგისტრალს და შეუერთდება ახალ გამზირს.

29. მდინარე მტკვარი - თბილისის ორგანული ნაწილი, ამ ეტაპზე ნაკლებად ათვისებულია. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სატრანსპორტო თუ სარეკრეაციო მიზნებისთვის მისი უფრო ეფექტურად გამოყენება?

ჩვენი მიზანია მდინარე მტკვარზე მარნეულისა და რუსთავის გზატკეცილის ქვემო სამგორთან დამაკავშირებელი და სხვა დამატებითი ხიდების აშენება.